

ინფლაციური პროცესების თავისებურებები საქართველოში

ციცინო კაციაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება საქართველოში ინფლაციური პროცესების თავისებურებების გამოკვლევას, სადაც დასმულია საკითხი, თუ რა არის ინფლაციის პრობლემა და როგორია მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები. კვლევაში შეჯერებულია პრობლემის გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული ინსტრუმენტები. საქართველო დღეს ანტიინფლაციური პოლიტიკის შემუშავების პროცესშია, რასაც გარდამავალი ეკონომიკის მთელი რიგი თავისებურებანი განაპირობებს. მიმდინარეობს ანტიინფლაციურ ღონისძიებათა ტრადიციული ფორმების დახვეწა და ახალი მეთოდების ძიება. საერთოდ, დღევანდელ საქართველოს პირობებში, ერთნიშნა (ზომიერი) ინფლაცია რეალურად მიღწევადია, რაც აუცილებელია ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების წარმოქმნისა და ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია. ინფლაციური პროცესი. ანტიინფლაციური პოლიტიკა. ინფლაციის პროგნოზირება. ინფლაციის პროცესის რეგულირება.

1. შესავალი

ინფლაცია ეკონომიკური ორგანიზმის ჯვანსალი რეაქციაა, რომელიც ფასების ღონის და მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის ზრდაში გამოვლინდება. ტერმინი „ინფლაცია“ წარმოშობილია ლათინური სიტყვისაგან – inflatio, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გაბერვას ნიშნავს.

საყოველთაოდ დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ინფლაციის სამი სახე არსებობს ფასების ზრდის ტემპების მიხედვით: ზომიერი, გაჭენებული და ჰიპერ-ინფლაცია. ამასთან განასხვავებენ ინფლაციის ორ ტიპს: მოთხოვნისა და მიწოდების (დანახარჯთა) ინფლაცია.

ინფლაცია ზომიერია, თუ ფასების მატება შენელებული ტემპით ხდება. მისი წლიური მაჩვენებელი ერთნიშნა ციფრით გამოიხატება.

გაჭენებული ინფლაციის შემთხვევაში წლიური ინფლაციის ღონე ორნიშნა ან სამნიშნა ციფრით გამოიხატება და განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა ის სტაბილურ ხასიათს იძენს.

გაჭენებული ინფლაციის შემდგომი ღონე ჰიპერინფლაციაა, რაც ეკონომიკის კოლაფსის წინაპირობაა.

მოთხოვნის ინფლაციის არსს ხსნიან ერთი ფრაზით: „ძალიან ბევრი ფული გამოიყოფა ძალიან ცოტა საქონელზე“.

მიწოდების (დანახარჯთა) ინფლაცია არის ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია წარმოების დანახარჯების ზრდით ან მთლიანი მიწოდების შემცირებით.

ინფლაციის დადგენა ხდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილების საფუძველზე.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), როგორც ინფლაციის ღონის დამახასიათებელი მაჩვენებელი, ზომავს ფასებისა და ტარიფების საშუალო ცვლილებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც შეიძენს მოსახლეობა პირადი მოხმარების მიზნით. იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I_c = (I_t - I_b) / I_b * 100$$

სადაც I_c არის სფი-ის პროცენტული ცვლილება საბაზისო წელთან, I_t -საანგარიშო წლის სფი, I_b - საბაზისო წლის სფი. როგორც წესი საბაზისო წელის შერჩევა ხდება ყოველ სამ წელიწადში.

საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე საფინანსო საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა, რაც გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას.

საქართველოსთვის, როგორც სხვა მრავალი განვითარებადი ქვეყნისათვის, ოფიციალური სავალუტო რეზერვები წარმოადგენს როგორც ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ სიმდიდრეს, ასევე უმნიშვნელოვანეს მექანიზმს ფულად-საკრედიტო სავალუტო პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. საერთაშორისო რეზერვები 2004 წელს თითქმის ორჯერ გაიზარდა და მთლიანად 2 თვის იმპორტის ეკვივალენტს მიაღწია. აღნიშნული პროცესი გაგრძელდა 2005 წელსაც და საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2.03 თვის იმპორტის ეკვივალენტი შეადგინა.

2005-2006 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების ფონზე ხორციელდებოდა. ქვეყანაში დაწყებულმა გარდაქმნებმა არსებითად შეცვალა ეკონომიკის ფუნქციონირების მანამდე დამკვიდრებული ტენდენციები და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის თვისებრივად ახალი კავშირები ჩამოაყალიბა. ამასთან ამ პერიოდში წლიური ინფლაცია წინა წლებთან შედარებით რეკორდულად მაღალი იყო, თუმცა 2006 წლის ბოლოს მოხერხდა მისი სტაბილიზაცია. ინფლაციის დინამიკა 2003-2006 წლებში გვაძლევს შემდეგ სურათს:

ინფლაციის დინამიკა 2003-2006 წლებში

ცხრ. 1

	2003	2004	2005	2006
იანვარი	5,5	5,2	9,3	5,2
თებერვალი	3,7	6,2	9,2	5,1
მარტი	3,4	6,3	9,7	4,6
აპრილი	2,1	5,6	10,3	6,0
მაისი	2,3	5,4	8,9	10,0
ივნისი	4,8	3,6	9,0	11,4
ივლისი	5,0	5,5	6,0	14,5
აგვისტო	5,1	5,0	7,2	13,4
სექტემბერი	5,2	6,0	7,7	11,2
ოქტომბერი	4,7	7,7	7,8	10,2
ნოემბერი	8,6	4,1	7,9	9,7
დეკემბერი	7,0	7,5	6,2	8,8

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული რეგულირებადი მცურავი კურსის მექანიზმი შეიცვალა ახალი პრიორიტეტით—თავისუფლად მცურავი კურსის პოლიტიკით. მის პრიორიტეტად განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმტკიცება, რაც მიღწეულ უნდა იქნეს ლარის რეალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ისეთი დინამიკის უზრუნველყოფით, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტ-იმპორტის ოპტიმალური თანაფარდობის ჩამოყალიბებას, ფასების სტაბილურობის პირობებში.

ინფლაციის პროგნოზირება, მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ცენტრალური ბანკების მიერ შემუშავებული პროგნოზირებული მოდელები, ძირითადად ინფლაციისა და მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებისათვის გამოიყენება. პროგნოზირებისათვის ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება განსაკუთრებით რთულდება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც ადგილი აქვს მონაცემთა სიმწირეს, არასტაბილურობას, გაზომვის მაღალ ცდომილებას. ასევე გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის განსაკუთრებით ხშირი და საგრძნობია არაპროგნოზირებადი შოკების გავლენა. საქართველოში ინფლაციის პროგნოზირება ამ ეტაპზე ყველაზე უკეთ შესაძლებელია მონეტარული და საგარეო ფაქტორების აღმწერი მოდელების საშუალებით. ასეთ მიდგომას იყენებს ეროვნული ბანკის მიერ შერჩეული ინფლაციის მოდელი, რომელიც შექმნილია ინფლაციის პროგნოზისათვის მოკლევადიან პერიოდში. ინფლაციის პროგნოზირება შეიძლება ვალუტის გაცვლითი კურსის დეველვაციის მიხედვითაც.

იმ ქვეყნებში, სადაც მოხდა ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი დევალვაცია, შესაბამისად ინფლაციაც მაღალი იყო. ინფლაციის სიდიდე, როგორც წესი, მეტია დევალვაციის ზომაზე, რადგანაც ინფლაციის ტემპი წარმოადგენს ვალუტის დევალვაციისა და ქვეყნის გარეთ ინფლაციის ტემპების ჯამს (საგარეო ინფლაციის სიდიდედ აღებულია აშშ-ში ინფლაციის ტემპი). სავალუტო კურსის დევალვაციას თან სდევს ინფლაცია. თუ საქართველოში მოხდება ლარის კურსის გაუფასურება, შეიძლება ვივარაუდოთ რომ წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მოიმატებს.

ინფლაციის არსებობა, გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებზე, როგორებიცაა ფასწარმოქმნა და მოსახლეობის შემოსავლების განაწილება. საქართველოში დაბალი მონეტარიზაციის მიზეზი ფულის ბრუნვის მაღალი სიჩქარეა, რაც ფულზე მოთხოვნის დაქვეითებით არის გამოწვეული და არა ფულის მიწოდების სიმცირით. მონეტიზაციის დაბალი დონე დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები-სათვის და ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მთლიანობაში, ასეთი მდგომარეობა დადებით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს და საჭიროა ღონისძიებების გატარება მონეტიზაციის კოეფიციენტის გასაზრდელად. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ნაკლებია ზომიერი ინფლაციის დონე. საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, ზომიერი ინფლაცია ჩვენი აზრით წლის მანძილზე დაახლოებით 3-დან 8 პროცენტამდე უნდა მერყეობდეს.

ეროვნული ბანკი არ უნდა იყოს მაღალი ინფლაციის გამომწვევი და ხელშემწყობი, რათა ფასების ზრდის ტემპი არ გასცდეს იმ კრიტიკულ დონეს, რომლის შემდგომაც მოსახლეობაში მკვეთრად იზრდება ინფლაციური მოლოდინი. მხოლოდ ფულის ემისიით რომ ყოფილიყო შესაძლებელი ეკონომიკის აღმავლობის გზაზე დაყენება, ამ მეთოდს უკლებლივ ყველა ქვეყანა მიმართავდა და უამრავი პრობლემა თავისთავად მოიხსნებოდა. საქართველომ უნდა იაროს ეკონომიკის სტრუქტურული მოწყობის გაუმჯობესების გზით, რომელიც გაცილებით რთულია, სამაგიეროდ, მას რეალური შედეგები მოჰყვება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის სახით.

საქართველოსთვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება ინფლაციასთან მიმართებაში: პირობებს, რომლებიც საშუალებას აძლევს საწარმოებს შეინარჩუნოს მაღალი ფასები, განეკუთვნება კონკრეტული ბაზრის თავისებურებები, რომელიც მკვეთრადაა განსხვავებული განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სრულყოფილი კონკურენციის ბაზრისაგან, ანუ ეს ბაზარი არ არის სრულყოფილი და ხასიათდება დაბრკოლებებით მასში სხვა კონკურენტის შეღწევისათვის. ბაზრის არასრულყოფილება ხასიათდება შემდეგი ფაქტორებით:

1. ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით, კერძო ინვესტირების, კაპიტალის გადადინების, მოსახლეობის დანაზოგთა აკუმულაციის კუთხით;
2. ბაზრის მონოპოლიზაციით და მონოფსონიზაციით;

3. კონკურენციისათვის ბარიერების არსებობით, საკანონმდებლო შეზღუდვების (ლიცენზირება, პროტექციონიზმი) ჩათვლით;

4. შრომის ბაზრის მოუქნელობით, რაც გამოიხატება ადგილობრივი ბაზრების იზოლაციით, პროფკავშირების მონოპოლიზმით და სხვა.

აუცილებელია განხილულ იქნეს საკითხი, თუ რამდენად გამართლებულია ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. ლარის გაუფასურების მომხრეთა შესაძლო პოზიტიური და ნეგატიური შედეგები მოითხოვს ურთიერთდაბალანსებას. დღეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება ცალსახად ცხადყოფს, რომ შესაძლო ნეგატიური შედეგები პოზიტიურს აშკარად პრევალირებს.

არსებობს ინფლაციის შემაკავებელი მეთოდების ორი ჯგუფი: პირდაპირი და ირიბი. საქართველოში დღეს ძირითადად გამოიყენება ისეთი ირიბი მეთოდები, როგორებიცაა: ფულის მოლიანი მასის რეგულირება ეროვნული ბანკის მიერ, კომერციული ბანკებით სასესხო და სააღრიცხვო პროცესების მართვით ეროვნული ბანკის რეგულირების შედეგად და კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვებით, ეროვნული ბანკის მონაწილეობით ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე.

ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი ნ. გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე: მონეტარული გადაცემის მექანიზმი საქართველოში. თბ., „ბანკი“. – N3 (7). 2001
2. დოლანი ე.ჯ. ფული, ბანკები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. სანკტ-ტერბურგი. 1994.
3. ესაკია გ. სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების შესახებ. საქ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 1999
4. პაპავა ვ. ინფლაციის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე პოსტკომუნისტურ საქართველოში. თბ., „ბანკი“, №1. 2000
5. კაკულია მ. სავალუტო კრიზისების მექანიზმი და ფორმები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. თბ., სოციალური ეკონომიკა. 2001
6. სავალუტო კრიზისი: ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. საქ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბ., 1999
7. სამუელსონი პ. ეკონომიკა. მოსკოვი, 1992
8. ინფორმაცია 2006 წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესახებ. სტატისტიკის სახელმწიფო დაპარტამენტი. 2007. <http://www.statistics.ge/>

THE ORIGINALITY OF INFLATIONAL PROCESSES IN GEORGIA

Katsiashvili Tsitsino
Georgian Technical University

Summary

This work is dedicated to the originality of inflation processes research. There is stated the issue of what is the inflation and what are the directions of overcoming it. In this research are summarized the practical and the theoretical tools of solving this problem. Today Georgia is in the process of working out the antyinflation politics which is caused, by the transitional economic peculiarities. Is going on the improvement perfection of antyinflation forms and investigation of the newest methods. In the conditions of the present situation in Georgia the moderate (simple) inflation is achievable. It is necessary for the creation of investments and establishing profitable business environment.

ОСОБЕННОСТИ ИНФЛЯЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ В ГРУЗИИ

Кациашвили Ц.
Грузинский технический университет

Резюме

Труд посвящается исследованию особенностей инфляционных процессов в Грузии, где поставлен вопрос, что такое проблема инфляции и каковы основные направления её устранения. В исследовании приведены теоретические и практические инструменты решения проблемы. Грузия на сегодняшний день находится в процессе разработки антиинфляционной политики, что обусловлено рядом особенностей переходной экономики. Происходит усовершенствование традиционных форм антиинфляционных мероприятий и поиск новых методов. Вообще, в условиях современной Грузии, однозначная (умеренная) инфляция реально достижима, что необходимо для создания инвестиционных потоков и формирования благоприятной бизнес-среды.